ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2838011

ნომერი: AR1438814

თარიღი : 08.09.2016

გაცემის თარიღი : 30.09.2016

გაცნობის თარიღი : 01.10.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქეთევან წამებულის გამზირი N98;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბექა მახარაძე პ/ნ 01008005162
- თბილისი ი.გაგარინის ქ. N 14/16 ბ. 32

ორგანიზაცია:
- შპს "ტრანსსერვისი" კოდი: 206047874

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის არარად აღიარება

გადაწყვეტილება

თქვენს 2016 წლის 08 სექტემბრის №AR1438814 განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 11.04.2014 წლის #1216516 გადაწყვეტილების არარად აღიარებას, გაცნობებთ, რომ სამსახურის 2016 წლის 05 მაისის №2803628 გადაწყვეტილებით უარი გეთქვათ 2016 წლის 15 აგვისტოს №AR1432223 განცხადების დაკმაყოფილებაზე და განგემარტათ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით დადგენილია აქტის არარად გამოცხადების საფუძვლები, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ: ა) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა, ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ, გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო, დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლის-სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, სამსახურის 11.04.2014 წლის #1216516 ბრძანების არარად აღიარების საფუძველი არ არსებობს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენი 2016 წლის 08 სექტემბრის №AR1438814 განცხადება და მასში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები იდენტურია 2016 წლის 15 აგვისტოს №AR1432223 განცხადებისა და აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცემულია სამსახურის 2016 წლის 05 მაისის №2803628 გადაწყვეტილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქალაქ თბილისის მუნიიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენი განცხადება.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge